-1621-

07
ბ-971

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დიანა სერგოს ასული ტყებუჩავა

პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი ელემენტები

(ფუნქციურ–ტიპოლოგიური ანალიზი)

ავტორეფერატი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომისა

10. 01. 10 – ჟურნალისტიკა

თბილისი
1998

...ოიკულ
...დრების, რეალური
...ახელმწიფოებრიობის,
...ურთულეს გზაზე
...ური მოღვაწეობის

ᲔᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
„06“

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრაზე

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა გაგოშიძე

ოფიციალური ოპონენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო მახარაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოსო სიგუა

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის 29/V 13⁰⁰ საათზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დარგის სადისერტაციო საბჭოს P10.01 C№ 2 სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა 29/IV 1998 წელს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი

ნ. ტაბიძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. დღევანდელობის გამორჩეულად თვალშისაცემი მოვლენაა სულ უფრო მზარდი ინტერესი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისადმი, კერძოდ – პუბლიცისტური სიტყვისადმი.

შეგნებულად თუ ქვეცნობიერად, კატაკლიზმების პერიოდში საზოგადოების უდიდესი ნაწილი ტრიბუნას ელტვის და არ არსებობს მასობრივი ინფორმირების უფრო მასშტაბური საშუალება, ვიდრე ჟურნალისტიკა, პუბლიცისტური სიტყვაა.

რამდენადაც არისტოტელესეული „სიტყვით დარწმუნების ხელოვნება“ ჟურნალისტური ოსტატობის ქვაკუთხედია, იმდენად ტექსტის შინაარსობრივ ელემენტთა უნარიანი, შემოქმედებითი გამოყენება პუბლიცისტის არსენალში განუზომელ მნიშვნელობას იძენს. მათი ერთობლიობა ამდიდრებს ტექსტს და აფართოებს მის ინფორმატულობას, ანუ – ინფორმაციით გაჯერებულობას.

რთული დროის ნიშანდობლივი თავისებურება – „ჟურნალიზმის ბუმი“ დროის ხარკია. მნიშვნელოვნად ზარალდება პროფესიონალიზმი, დეფორმირდება ფასეულობანი. მაგრამ კიდევ უფრო ძვირფასი ხდება ჭეშმარიტი პუბლიცისტიკა, ვინაიდან სიმართლე, ჟურნალისტიკის ყველაზე ქმედითი, ნაცადი „ინსტრუმენტი“, მკითხველ აუდიტორიაზე მუდამ ეფექტურ ზემოქმედებას ახდენს. აქ გადამწყვეტი სიტყვა მკითხველის გემოვნებამ, მისმა სწორმა არჩევანმა უნდა თქვას. განსაკუთრებულია თეორიულ მეცნიერებათა როლი როგორც ამ არჩევანის, ისე მკითხველის გემოვნების დახვეწის, ინფორმაციის ქაოსში მისი სწორად ორიენტირების საქმეში.

„პერიოდული ორგანოს შეფასებისას, პირველ ყოვლისა, საინტერესოა, თუ რის დამკვიდრებას შეუწყო მან ხელი და როგორ“ – ბრძანებს ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორეტიკოსი. აქედან გამომდინარე, და, ამდენად, ჟურნალისტიკის თეორიაში სულ უფრო აქტუალური ხდება მეცნიერული მიმართულება, რომელიც ჟურნალისტური შემოქმედების კანონზომიერებებს, პუბლიცისტური ოსტატობის საკითხებს იკვლევს, მკაფიოდ იკვეთება პრობლემათა წრე, რომელთა შესწავლაც პირველხარისხოვან ამოცანად დაისვა ჟურნალისტიკის თანამედროვე თეორეტიკოსთა წინაშე.

ეს პრობლემები უშუალო კავშირშია ქვეყნის პრაქტიკულ სადღეისო ამოცანებთან: დემოკრატიის დამკვიდრების, რეალური თავისუფლების, დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრიობის, სამართლებრივ ურთიერთობათა დაკანონების ურთულეს გზაზე განუზომელია პრესის, საზოგადოდ – ჟურნალისტური მოღვაწეობის როლი.